

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა
ასოციაციის განცხადება ჟურნალში
“ცხელი შოკოლადი” გამოქვეყნებულ
“არშემდგარ დისკუსიასთან”
დაკავშირებით

საზოგადოებრივი დისკუსია გამოინვია ჟურნალის შოკოლადი A დეკემბრის
ნომერში გამოქვეყნებულმა სტატიამ დიალოგი A¹ განხილვის თემა

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



██████████████████ მუხნყებლის A გენერალური დირექტორის მოადგილის, გია ჭანტურიას მიერ გამოხატული შეუწყნარებლობის გამომხატველი მოსაზრებები გახდა.

გამოხატვის თავისუფლება ის უზენაესი ღირებულებაა, რომელიც თითოეულ ადამიანს აძლევს უფლებას გამოთქვას თავისი აზრი, თუნდაც სხვისთვის მიუღებელი. თუმცა, ევროპის საბჭომ ცალკე რეკომენდაცია შეიმუშავა ████████ და შემწყნარებლობის კულტურის განმტკიცების შესახებ A ████████ რომელშიც ხაზს უსვამს, რომ განსაკუთრებით მიესალმება ████████ პროფესიონალთა ინიციატივებს, განამტკიცონ შემწყნარებლობის კულტურა, აღნიშნავს რა, რომ ეს უკანასკნელი განსაკუთრებით ხელსაყრელ მდგომარეობაში იმყოფებიან იმისათვის, რათა ხელი შეუწყონ ამ ინიციატივებს და უზრუნველყონ მათი ზოგადი აღიარება მედიის ყველა სექტორში.”

ამ გავლენის უარყოფითად გამოყენების მინიმუმადე დაყვანის მიზნით, აუცილებელია, მედია ორგანიზაციებში შეუწყნარებლობის პრობლემაზე მსჯელობა. უფრო მეტიც, ევროსაბჭოს რეკომენდაციის სულისკვეთებით, მედია საშუალებებს შეუძლიათ სასარგებლო ზეგავლენა მოახდინონ და თავიდან აიცილონ საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის არსებული დაძაბულობა; თავიდან აიცილონ კულტურული, ეთნიკური, რელიგიური ან სხვა ჯგუფის წევრების დამამცირებელი სტერეოტიპული აღწერა პუბლიკაციებსა და საპროგრამო მუხნყებლობებში; დაგმონ მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს რესპონდენტების მიერ ინტერვიუების, მოხსენების და სხვა დროს გაკეთებულ შეუწყნარებელ განცხადებებს.

მედიის საშუალებების მიერ მათთვის დაკისრებული მისიის გაცნობიერება ავალდებულებს მათ წარმომადგენლებს, მათ მიერვე ნაკისრი ვალდებულებების უკეთ შესრულების მიზნით, მეტი სიფრთხილით მოევიდონ საკუთარი აზრის გამოხატვას. პასუხიმგებლობის ხარისხი გაცილებით უფრო მაღალია, როცა საკითხი ეხება საზოგადოებრივი მუხნყებელს, რომელსაც კანონში პირდაპირ აქვს განერილი საზოგადოების ნებისმიერი წარმომადგენლის ინტერესების ასახვა. სწორედ ამიტომ გახდა საზოგადოებრივი მუხნყებლის წარმომადგენლის მიერ გაკეთებული განცხადებები ცხარე დისკუსიის საგანი და საზოგადოების რიგი წარმომადგენლებისთვის მიუღებელი.

██████████████████ მუხნყებლის A ქცევის კოდექსში* შეურაცხმყოფელი ლექსიკის თავიდან აცილების მიზნით დადგენილია, რომ ████████ და აუდიტორიისადმი პატივისცემა ჟურნალისტებს ავალდებულებს, არ გამოიყენონ დაუფიქრებლად ისეთი სიტყვები თუ ფრაზები, რომლებმაც შეიძლება აუდიტორია შეურაცხყოს. ასეთი ლექსიკა შეიძლება მოიცავდეს გინებას, რასისტულ ტერმინებს, ავადმყოფობის ან უნარშემღუდულობის აღმნიშვნელ დამცინავ ტერმინებს, და სხვა. A ქცევის კოდექსი ყურადღებას ამახვილებს ყველა იმ საკითხზე, რაზეც საუბარი იყო ████████ შოკოლადის A მიერ გამართულ

